სს „თიბისი ბანკი" გთავაზობთ თიბისი კონცეპტ მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგი ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანას:

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„2.1. ბანკი თიბისი კონცეპტ კლიენტს მიაწვდის შემდეგი სახის საბანკო მომსახურებას:
დისტანციური მომსახურება – იგულისხმება თიბისი კონცეპტ კლიენტის მიერ, პერსონალური ბანკირისთვის ელექტრონული ფოსტით, მობილური ტელეფონით, ინტერნეტბანკით, მობაილბანკით, SMS კოდით (შემდგომში „დისტანციური საშუალება/ები") საბანკო ოპერაციების / გადარიცხვების შესასრულებლად და/ან სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო და/ან სადეპოზიტო) პროდუქტების მისაღებად დავალების მიცემა/დადასტურება ან ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო და/ან სადეპოზიტო) პროდუქტების მიღება/დადასტურება ბანკის მიერ განსაზღვრული წესებით, პირობებითა და ლიმიტების ფარგლებში.".

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 - 3.3 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„3.1. თიბისი კონცეპტ მომსახურების შეთავაზება ხდება ბანკის იმ კლიენტებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ბანკის მიერ ცალმხრივად დადგენილ თიბისი კონცეპტ მომსახურების კრიტერიუმებს.
3.2. ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმის დარღვევის შემთხვევაში, თიბისი კონცეპტ კლიენტს მიეცემა 3 (სამი) თვიანი საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაში მას პერსონალური ბანკირი ისევ მოემსახურება.
3.3. იმ შემთხვევაში, თუ საშეღავათო პერიოდის დასრულებამდე თიბისი კონცეპტ კლიენტის მიერ არ მოხდება ბანკის მიერ დადგენილიკრიტერიუმის აღდგენა, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს თიბისი კონცეპტ მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და აღარ შეთავაზოს კლიენტს მომსახურების განსაკუთრებული პირობები, რის შემდეგაც კლიენტი მიიღებს ბანკში არსებულ სტანდარტულ მომსახურებას.".

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების 4.2.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„4.2.3. უზრუნველყოს ანგარიშის/დეპოზიტის/ბარათის გახსნის/დახურვის/შეწყვეტის და ელექტრონული პროდუქტებით სარგებლობის, რეგისტრაციის/გაუქმების საბუთების ხელმოწერა ბანკის მიერ დავალების შესრულებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში, თუ დავალება არ იქნება დადასტურებული ელ-ფოსტით, SMS კოდით ან ინტერნეტ-ბანკით ამ ხელშეკრულებითა და ბანკის მიერ განსაზღვრული წესების, პირობებისა და ლიმიტის ფარგლებში.".

<u>გაუქმდეს ხელშეკრულების 4.3.7 ქვეპუნქტი.</u>

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების 5.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„5.5. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით, მხარეთა მიერ აღიარებული ბიზნეს-ეთიკის წესებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.".

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების დანართი N1-ის 1.3. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„1.3. გადარიცხვა/კონვერტაცია სს „თიბისი ბანკის" მიერ დადგენილი წესების / ლიმიტების / პირობების შესაბამისად.".

<u>გაუქმდეს ხელშეკრულების დანართი N1-ის 1.4. პუნქტი და მისი ქვეპუნქტები (1.4.1, 1.4.1.1-1.4.1.3).</u>